რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა, 11 მარტი 1918 წ.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი. № 4 ფასი 15 კ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари"—Михаилу Медзмаріашвили для газ. „Чвени Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპ. იკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური გაზეთი

„ჩვენი ბრძოლა"

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 40 მ. | ორი თვით | 6 მ. 50 კ. |
| ექვსი თვით | 20 მ. | ერთი თვით | 3 მ. 50 კ. |
| სამი თვით | 10 მ. | ცალკე ნომერი | 15 კ. |

მისამართი: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари" — Михаилу Медзмаріашвили для газеты „Чвени Брдзола".

## რედაქციისაგან.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! გაზეთი „ჩვენი ბრძოლა" საკუთარი თქვენი ორგანოა. თითოეული პარტიული ორგანიზაცია და ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ვალდებული არიან „ჩვენი ბრძოლის" რედაქციასთან მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ და მას ყოველნაირათ დაეხმარონ. ყოველივე თქვენი შენიშვნა, ყოველივე თქვენ მიერ მოწერილი ამბავი ანუ კორესპონდენცია მუშების და გლეხების ცხოვრებიდან დიდი ყურადღებით იქნება მიღებული და გამოქვეყნებული.

კვირას 11 მარტს

დილის 10 საათზე, პარტიულ კლუბში (ყოფილი „პროვოდნიკის" შენობა)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პარტიული

### საზოგადო კრება

განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები.

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

## ამიერ-კავკასიის სეიმი და მიწის საკითხი.

7 მარტს ამიერ-კავკასიის სეიმმა მიიღო აგრარული კომისიის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი მიწის შესახებ. არსებითათ ეს კანონპროექტი დამტკიცება და განმარტებაა ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გასული წლის 16 დეკემბერს, გამოცემულ დეკრეტებისა.

ამიერ-კავკასიის დეკრეტი მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ, მხოლოთ ქაღალდზე დარჩა, ის სავსებით უსიცოცხლო გამოდგა, თუმცა იმის გამოცემასაც ძლიერ ეწინააღმდეგა ამიერ კავკასიის დღევანდელი მთავრობა. ეს დეკრეტი მიწის საკითხის გადაჭრის გვერდს უვლიდა და სამერმისოთ დებდა; გაჭირვებულ და ღატაკ გლეხობას ის მხოლოთ დაპირებას აძლევდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი კონტრ რევოლიუციონური ბურჟუაზიის და მემამულეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა; ამიტომ ის გლეხების სასარგებლოთ მიწის საკითხის გადაჭრას ვერ შესძლებდა, და სხვანაირი გადაჭრა კი საკითხის, დღეყოვლად წარმოუდგენელია. ახლა ვიკითხოთ: გადადგა თუ არა ამ მხრით გადაჭრილი ნაბიჯი წინ ამიერ-კავკასიის სეიმმა? ჩვენ ვამბობთ, რომ ვერ გადადგა და არც შეეძლო, რომ გადაედგა.

ამის მთავარი მიზეზი იგივე, რამაც ამიერ კავკასიის მიწის დეკრეტის უნაყოფობა გამოიწვია. სეიმი ამიერ-კავკასიის ღვიძლი შვილია: იქ კონტრ რევოლიუციონური და ნაციონალისტური ბურჟუაზიის და მემამულეების გავლენა კიდევ უფრო ძლიერია, ვინემ ეს იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატში. თვით მენშევიკების განცხადებით, სეიმში 130 წევრებიდან სოციალისტი მხოლოთ 55 კაცია, ე. ი. უმცირესობა, და 55 წევრებიც ისეთი „სოციალისტებია", რომლებიც ამ რევოლიუციის დროს მუდამ ბურჟუაზიას და მემამულეებს უჭერდენ მხარს; ეს ისეთი „სოციალისტებია", რომლებიც სოციალიზმს მხოლოთ სიტყვით სცნობენ, საქმით კი ბურჟუაზიულ წყობილების გამაგრებას და განმტკიცებას ცდილობენ.

თავის თავათ იგულისხმება, რომ სეიმის ასეთი შემადგენლობა ვერ შესძლებდა მიწის საკითხის გადაჭრას გლეხების და საზოგადოთ სოფლის მუშების სასარგებლოთ. რა თქმა უნდა, სეიმში წარმოდგენილ პარტიებს ძლიერ აფიქრებს დღევანდელი გარდამავალი ხანა, რევოლიუციის ქარტეხილი, ისეთი ნგრევა ძველი წყობილებისა, როგორიც დღეს განსაკუთრებით, სოფლად ხდება. იმათ ეშინიათ, რომ ამ ნგრევამ არ წალეკოს იმათთვის ძვირფასი ბურჟუაზიული წყობილება. ისინი კარგათ ხედავენ, რომ სოფლად უკვე ხდება აგრარული რევოლიუცია, რომ ხალხს უკვე მობეზრდა ამდენი ხნის ლოდინი, რომ მიწის საკითხის გადაჭრა მაღლიდან უნდა მოხდესო, და იგი თითონ საკუთარი ძალით შეუდგა. ასეთ მდგომარეობაში სეიმს, რომელიც თავის უმრავლესობის ბურჟუაზიის და მემამულეების სულის კვეთების გამომხატველია მეტი რა გზა ქონდა რამდენიმეთ დათმობისაკენ არ წასულიყო. განა იმ დროს, როცა გლეხობის ერთმა ნაწილმა მემამულეებს ფაქტიურათ უკვე ჩამოართვა კიდეც მიწები უფასოთ, შესაძლებელი იყო, რომ სეიმი აშკარათ, გამოჩენით ამის წინააღმდეგ წასულიყო? მაშინ გლეხკაცობა პირდაპირ სეიმის წინააღმდეგ წავიდოდა და იმას მოსპობდა. მიწის საკითხს სჭრის დღეს რევოლიუცია და არა სეიმი. ეს არის რუსეთის დიდი რევოლიუციის ნაყოფი, და არა სეიმში მოკალათებულ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიულ და ცრუ-სოციალისტურ პარტიების სამსახური. ერთი სიტყვით, თუ კონტრ რევოლიუციონური სეიმი დღეს მიწის საკითხის საქმეში დათმობისაკენ წავიდა, ეს აიხსნება მხოლოთ იმით, რომ ის თავის თავს იცავს.

მენშევიკების ორგანო „ერთობა" 7 მარტის სხდომის შესახებ სწერს, რომ „ოღონდ, მართალი იყოს ის, რომ მუსულმანების წარმომადგენლებს ამ საქმეში გულწრფელობა აკლიათ, დღეს ისინი წინააღმდეგნი იყვნენ გლეხებისათვის მიწების გადაცემის.. ამიერიდან არავის არ შეუძლია გლეხებს ხელიდან გამოგლიჯოს მიწაო". ჩვენ ვეკითხებით მენშევიკებს: განა მიწის საკითხის საქმეში გულწრფელობა მარტო მუსულმანების წარმომადგენლებს აკლიათ? ვთქვათ, მაგ. თქვენ შესახებ. განა თქვენ კი დიდი გულწრფელობა გამოიჩინეთ გლეხებისათვის მიწების გადაცემის საქმეში? მოიგონეთ თქვენი მოღვაწეობა ამ რევოლიუციის ხანაში; გაიხსენეთ თქვენი დამსჯელი რაზმები გლეხების წინააღმდეგ, როცა ისინი არღვევდენ რევოლიუციამდე მიწათმფლობელობის და მიწის სარგებლობის წესებს, თუ როგორ თავგამოდებით იცავდით თქვენ მემამულეების ინტერესებს, რაც რევოლიუციამ მოსპო; მოიგონეთ წერეთლის, ხიჟნიაკის ცირკულიარები, რომ გლეხებმა არამც არ გაბედონ არსებულ წესების წინააღმდეგ წასვლათ. მოიგონეთ კიდევ 16 დეკემბრის „ცნობილი" დეკრეტი, რომელიც, როგორც თვით ბ-ნი გეგეჭკორი გამოტყდა, თათრის ბეგების და ხიზნების და საზოგადოთ მემამულეების ნაკარნახევი იყო. ავიღოთ ახლა დაშნაკლები. იმათ „გულწრფელობას" მიწის საკითხში კარგათ ახასიათებს ბ-ნ შარატუნის შემდეგი განცხადება; „მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მომხსენებელმა აქ განაცხადა კანონპროექტს საფუძვლათ უდევს სოც.-დემოკრატიული პრინციპიო; კომისიაში კი განაცხადეს, რომ სადგილ-მამულო კომიტეტები დროებითი ორგანოებიაო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ მათ არ გადავსცემდით მიწებსო". ეს დაშნაკლების გულწრფელობის შესახებ. ვინღა დარჩა? დარჩა მხოლოთ ერთი გობეჩია, რომელიც სოც.-რევოლიუციონერათ თვლის თავს. მან განაცხადა, რომ „კანონპროექტი ბუნდოვანათ არის შედგენილიო, მაგრამ იგი მაინც გვაახლოვებს ჩვენ საკითხის ისე გადაჭრას, როგორც ეს ჩვენს პარტიას ესმისო".

ბ-ნი გობეჩია სხვებს უკიჟინებს ბუნდოვანებას, მაგრამ მისი სიტყვები ბუნდოვანზე უბუნდოვანესია, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ მის სიტყვებში გულწრფელობა იხატებოდეს.

საკვირველია მხოლოთ ის, რომ სეიმის კანონპროექტში იგი ესერების მიწის სოციალიზაციის მოახლოვებას ხედავს. ამ შემთხვევაში ჩვენ იმის თქმაც შეგვიძლია, რომ ბურჟუაზიული წყობილებაც, კერძო საკუთრების გამაგრებაც მიწის სოციალიზაციასთან გვაახლოვებს და სხვა ამგვარებ. ბ-ნი გობეჩია, ერთი სიტყვით ან სხვებს ატყუილებს ან თავის თავს.

ასე თვალთმაქცობდენ, ასე დიპლომატობდენ სეიმში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები მიწის შესახებ პროექტის განხილვის დროს. მაგრამ ისინი ლაპარაკობდენ თავიანთ საერთო ენაზე. იმათ კარგათ ესმოდათ ერთმანეთის: ეს იყო საერთო სურვილი როგორმე დაატყუილონ გლეხკაცობა ამ არევ-დარევის ხანაში. როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის, ისე სეიმის მიერ მიღებული კანონის დედა აზრი ისაა, რომ რო-

გორმე იხსნან განსაცდელისაგან რევოლიუციამდე არსებული ურთიერთობა სოფლად და, საზოგადოთ, მთელი ბურჟუაზიული წყობილება. ეს აშკარათ გამოსჭვივის ხსენებული კანონიდან.

(შემდეგი იქნება).

## პრესის მიმოხილვა.

„სახ. საქმე“-ს მოწინავე წერილი ფუტურისტულათ აღნუსხავს, თუ რა თვისებების პატრონი უნდა იყვენ ამ.-კავკასიის მინისტრები:

სამინისტრო ნოქრის როლს კი არ ასრულებს, არამედ ხელოვანის საქმეს, შემოქმედებას. მინისტრი ინტუიციის, ანალიზის, პერტურბაციის, სრბოლის განსახიერებაა, მისი გონება ყოველ საკითხში უნდა ხედავდეს ძირეულ ფაქტორებს, უბრალო ფორმებს და ადვილად სჭვრეტდეს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიურ ძალთა განწყობილების ყოველ ქსელს. მინისტრი—ამავე დროს მეცნიერულ განათლებით უნდა იყოს აღჭურვილი და გულუბრყვილო, პირველ ყოფილ ადამიანის თვალით არ სჭვრეტდეს საზოგადოებისათვის დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

რასაკვირველია ეს ცოტაა. შეიძლება მოღვაწეს წინაშე ყოველი ფენომენი და ნოუმენი გატიტვლებულ ფაქტად იყოს წარმომდგარი, შეიძლება ადამიანი გამოცდილ დოსტაქარსავით აშკარად ხედავდეს ადამიანის ყოველ შეუმჩნეველ კუნთს და ძარღვს, მაგრამ მინისტრის როლში კი ყოვლად უვარგისი იყო თუნდა მოწყალების და ქველმოქმედების პორტფელიც რომ ჩავაბაროთ. მინისტრი განხორციელებული მტკიცე ნებისყოფაა, ენერგიაა, მძლავრი პიროვნებაა. მოხელე და ნოქარი კი არა, მდგომარეობის განმცდელი, საზოგადოებრივ ტემპერატურის დამამორჩილებელი, მთელი საადმინისტრაციო აპარატის ქედის მომხრელი, გავლენიანი პიროვნება უნდა იყოს მინისტრი.

ნეტავ ვიცოდეთ, ფედერალისტების მინისტრ შ. მესხიშვილს „ნოუმენი და ფენომენები“ გატიტვლებულ ფაქტათ ეჩვენება ხოლმე, თუ ქულაჯაში გამოწყობილათ?

გაზეთი გულმოკლულათ დაასკვნის, რომ ასეთი მინისტრის შოვნა რომელიც „ადვილად სჭვრეტდეს“ უსაზღვრო მსოფლიოსაც და მის არემარესაც, — „ჩვენში მიუწდომელი ოცნებაა“. მეტი გზა არ დაგვრჩენია, სტამბოლიდან უნდა გამოვიწეროთ თუთუნთან და გამხმარ ლეღვთან ერთად სამინისტრო კაცებიც.

---

ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელსაც ჩვენი პარტია მეთაურობდა, მემამულეების მიწაზე კერძო საკუთრება სამუდამოთ მოსპო და მთელი მიწა-წყალი მშრომელ ხალხის საკუთრებათ გამოაცხადა. საბჭოთა მეორე ყრილობამ, რომლის დიდი უმეტესობა ბოლშევიკების დელეგატებისაგან შესდგებოდა, მიწის სარგებლობის წესათ აღიარა ის „ნაკაზი“, რომელიც გამომუშავებული იყო 242 გლეხთა საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობებზე და, რომელიც შეიცავს მიწის სოციალიზაციას.

მიწა წარმოების ერთ-ერთი უდიდესი იარაღია, მისი განსაზოგადოებრივება, სოციალიზაცია, მაშინაა შესაძლებელი და მთელი წარმოების წინ წამწევი, როცა საზოგადოთ მთელი წარმოების წესი, რევოლიუციონურათ იცვლება, სოციალიზმის განხორციელება დღიურ წესრიგში დგება. სოციალიზაცია მიწის, მაშინ, როცა კაპიტალიზმი ქალაქში ხელშეუხლებელია, როცა ბურჟუაზიული კერძო საკუთრება შეურყეველია, მტკნარი ოცნებაა და, შესაძლებელიც რომ იყოს—წარმოებითი ძალების ჩამოქვეითებაა. სოც.-რევოლიუციონერები მოითხოვდენ მიწის სოციალიზაციას მაშინ, როცა ტახტზე ნიკოლოზი იჯდა და კაპიტალიზმის ფესვების ამოგდებაზე არავინ ფიქრობდა. ეს იყო მუხლი მათი მინიმალურ პროგრამისა. და ამიტომ სოციალიზაცია მიწისა მაშინ ძველი ალთქმის კომუნიზმს უფრო ჩამოგავდა, ვინემ რევოლიუციონური სოციალიზმის ერთ უდიდეს მოთხოვნილებას.

მიტომ ვიყავით წინააღმდეგი სოც.-რევოლიუციონერების სოციალიზაციისა და ვიქნებით კვლავ, თუ რევოლიუცია, ვინიცობაა, დამარცხდა და გადადგმული სოციალისტური ნაბიჯები რეაქციამ გააბათილა. ოქტომბრის რევოლიუციამ გადადგა ასეთი ნაბიჯები, შეეხო კერძო საკუთრების პრინციპს, როგორც ქალაქად ისე სოფლად. საჭირო იყო პომეშჩიკების, ამ რეაქციის მებაირაღტრეების, სიძლიერის მოსპობა, საჭირო იყო დაუყოვნებლივ მათი უფლების სამუდამოთ მოსპობა. საჭირო იყო გლეხების ნება-სურვილის დაკმაყოფილება, საჭირო იყო სოციალიზმისაკენ ნაბიჯის გადადგმა. და აი, ლენინი სახელმძღვანელოთ ღებულობს გლეხთა მიერ გამომუშავებულ „ნაკაზს“ მიწის მოხმარების საქმეში. მეურნეობა ეწყობა სოციალისტურათ. რა არის ამაში მოულოდნელი? მაგრამ გაზ. „სოც.-რევოლიუციონერი“ მეტის მეტი კმაყოფილებით სწერს ამის შესახებ:

„მიწის სოციალიზაციის იდეა იმდენათ ცხოველ-მყოფელი გამოდგა, რომ მას მიემხრო ისინიც კი, ვინც მას ათი წლობით ებრძოდა. სოც.-დემოკრატებს და სხვადასხვა ჯურის ლიბერალებს მიწის სოციალიზაცია განუხორციელებელ უტოპიათ მიაჩნდათ“.

დიაღ, მიგვაჩნდა და კვლავ მივიჩნევთ, თუ კაპიტალისტური წარმოების საძირკველი არ შეირყა, თუ სოციალისტური სიო, რომელმაც დაჰბერა ოქტომბერში, ჩაღვა და ქარიშხალათ არ გადაიქცა.

---

## „ალიონი-ს“ სოციალ-ნაციონალისტების შესახებ.

თფილისში გამოდის კვირაში ორჯერ გაზ. „ალიონი“, ორგანო ქართულ სოციალ დემოკრატიულ ჯგუფისა. ალბათ ეს მიტიური ჯგუფი მთელად თავმოყრილია თფილისში, ვინაიდან საქართველოს სხვა კუთხეში თეთრ ყვავს უფრო ადვილად შეხვდება კაცი, ვიდრე ალიონისტებს. მაგრამ ორგანო მაინც აქვთ, სავარჯიშოთ და ბაქი-ბუქიაობისათვის. ვინ არიან ვის, ემსახურ.? მთელი შემადგენლობა ამ გაზეთის მოჯირითეების ყველა ბოლშევიზმის რენეგატებია, ყოფილი წევრებია მუშათა და გლეხთა პარტიისა. კაი ხანია მათ მხარული გადაჭკრეს და ნაციონალიზმის მორევში შეტოპეს. მაგრამ ეს, მეტის მეტათ, აშკარათ მოიმოქმედეს და აშიტომ მენშევიკებმაც, სახელის გატეხის შიშით, არ მიიღეს, პარტიული კარები ცხვირწინ მიუკეტეს. და სტკეპნიან მას მერე ეს გადაგვარებული სოციალ-დემოკრატები, როგორც თფილისის ქვაფენილს, ისე „ალიონის“ ფურცლებს. მენშევიზმის მედუდუკეობას არ სტოვებენ, „დაფასებას“ ელიან. ამავე დროს, მზგავსად დათხოვნილი მსახურისა, რომელიც მუდამ ჟამს ძველი ბატონის გინებაშია, ბოლშევიკების გინებაში ატარებენ დროს, ღეჭავენ და იცოხნებიან ჩვენი პარტიის რაც ჩირქს მოცხებს. ყველაზე მეტ ნაყოფიერებას და შემოქმედებას ამ სერიოზულ საქმეში იჩენს ივ. გომართელი, რომლის პრივილეგიას შეადგენს ის გარემოება, რომ ის მენშევიზმის რენეგატია. ეს ყოფილი მენშევიკი, უბადრუკი სახელმწ. დუმის წევრი და ბედ-იღბლიანი ექიმი, რეცეპტების წერას შეჩვეული, ყოველ ნომერში სულ ახალ-ახალ წამლის რეცეპტს უწერს საქართველოს ბოლშევიზმის სენის წინააღმდეგ. აი უკანასკნელ ნომერშიაც ის აქიმბაშობს და არცხვენს ქართველ მშრომელ ხალხს, მამაპაპური პოლიტიკური სიბრძნე რა უყავიო; წინეთ, ჩვენში „გარეშე მტრის შემოსევის დროს ყმა, გლეხი, ბატონი, თავადი ერთის მიზნით იყვნენ გამსჭვალულნიო. . როდესაც გარეშე მტერი კარზე იყო მომდგარი, ყმა, გლეხი, ამ მტრის წინააღმდეგ მიდიოდენ და შინაურ მტერს კი (ე. ი. თავად-აზნაურობას) თავს ანებებდენ: ჯერ გარედან შემოსეული მტერი მოვიშოროთ და შინაურს მერეც გავუსწორდებითო“... ასე უნდა იყოს ახლაც ბ. გომართელის დაჟინებითი მტკიცებით. ჯერ გამარჯვება თათრებზე, მერე რეფორმები; ჯერ მოგერიება გარეშე მტრის და შინაურ მტრებთან ძმური კავშირი, მერე თავისთავზე ზრუნვა. ჯერ დაწყნარება, მერე რეფორმებიო—მოითხოვდა სტოლიპინი. ჯერ ომი და ომი გამარჯვებამდე, მერე და, მხოლოდ მერე, დამფუძნებელი კრება და ხალხის კეთილ-დღეობაზე ზრუნვაო. ასე თვნთმაქცობდა მილიუკოვი, მას ბანს აძლევდა კერენსკის მთავრობა და მათი მაჩანჩალა „ობორონცები.“ თუ რა შედეგი გამოიღო ასეთ პოლიტიკამ, დღეს ყველა ხედავს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. თავდაცვას არა თუ არ უშლის ხელს შინაურ მტერთან ბრძოლა, ხალხის სასარგებლო რევოლიუციონური კანონმდებლობა, პირიქით ხელს უწყობს, შეუძლებლათ ხდის იმ ანარქიას, იმ არევ-დარევას, რომელიც გამოწვეულია რევოლიუციის უნაყოფობით. ვისაც თქვენ იწვევთ ახალ ფრონტზე, მეტის ხალისით წავა, მეტი სიმამაცით იბრძოლებს გარეშე მტრის წინააღმდეგ, თუ შინ ეგულება თავისი უფლება განმტკიცებულათ. ბ. გომართელი ასეთ დიაგნოზს უსვამს ჩვენი ხალხის ამოძრავებას:

„დღეს იცით ვინა ჰყიდის საქართველოს, ვინ გამოდის ქართველი ერის მოღალატეთ?

ის ჯარისკაცები, რომლებიც ჩვენს სოფლებში არევ-დარევას, ანარქიას, სისხლის ღვრას იწვევენ და ამპარტავნათ გაიძახიან: ...
ლებთან ჩვენ რა საქმე გვ...
ჩვენ შინაურ მტრებს უნდა გა...
სწორდეთო.“

და შემდეგ ამისა ბრძნული...
ლოთი კითხვას სვამს და პასუხ...
იძლევა:

„ჩვენი ჯარისკაცები ცხრა ...
იქით იბრძოდენ და ღვრიდენ ...
სხლს.

რათა რისთვის?

თვითონაც არ იცოდენ, ...
თვის ნიკოლოზი უბრძანებდა...
ისინიც იხოცებოდენ“.

მერე თქვენ სად ბრძანდებოდ...
ღირსეული მასწავლებელი? რო...
იბრძოდით ამ უსაშინელეს ...
წინააღმდეგ? თუ ჯარის კაცებმა ...
იცოდენ, რისთვის აპოხირე...
ცხრა მთას იქით თავისი ძვლე...
და სისხლით უცხო მიწას, თქ...
სად იყავით, თქვენი ქართულ სო...
დემოკრატიულ დროშით“? მხოლ...
ბოლშევიკები გამოდიოდენ აშკა...
ომის წინააღმდეგ, სახელმწ. დუ...
ჩვენი ფრაქცია ციმბირში გადაას...
ლეს ამისთვის.

მით უმეტეს, სად ბრძანდებოდ...
და რას ეუბნებოდით ჯარის კა...
მაშინაც კი, როცა რევოლიუც...
ხალხი გაანთავისუფლა და ნიკოლ...
ზის შიში გააქარწყლა? ვინ მოუწ...
დებდა მაშინ ჯარს —სისხლის ღვ...
განაგრძეთ, ჯერ „თავდაცვა“, მე...
შინაურ მტერთან გასწორებაო? თქ...
გეგონათ, რომ ეს საზღაპრო ო...
წლის ომი უკვალოთ ჩაივლიდა, შ...
არ დასთესავდა ჯარის-კაცთა სუ...
და გულში, რომ ისინი გვერდ...
სავით უმანკო და უბიწო დაუბრ...
დებოდენ თავიანთ კერას? მოწამ...
ლია მთელი ქვეყნიერება ომიანობ...
მოწამლული ვართ ყველა და მ...
ლოდ ბ. გომართელისთანა თონთ...
„სოციალისტს“ შეუძლია დაკმაყ...
ფილდეს განებით—საქართველოს ...
რის-კაცები ჰყიდიანო—და არ ჩა...
კვირდეს „ანარქიის და არევ-დარ...
ვის“ ღრმა მიზეზებს.

„მივბაძოთ ყველამ გურულ...
(რომლებმაც გაილაშქრეს ოსმა...
ბის წინააღმდეგ), გავყვეთ მათ უ...
მივსდიოთ მათს კვალს, ვაკეთოთ ...
რასაც ისინი აკეთებენ, ვისწავლ...
მათგან,“—ოქროპირობს ბ. გომა...
თელი. ექიმო განიკურნე ჯერ თ...
შენიო, ნათქვამია. ღმერთმა მოგვ...
წროს, რომ ალიონისტებს თბილ...
ტროტუარები მიეტოვებიოს და სა...
ძოლველათ გაშურებულიყვენ, ...
სხვისი არ ვიცი, და მე კი არ ...
მოვრჩები, თუმცა იაპონიის ო...
დან მოკიდებული სულ ფრონ...
ვიმყოფებოდი გასულ ზაფხულამ...
მაგრამ ვშიშობ, რომ, როგორც აქ...
დის, ისე აწიც ამ ხალხს ვერ მ...
შორებ თბილისის მყუდრო ად...
ლებს. ჩვენი სიტყვა, თქვენი საქმეო ...
მიმართავენ ისინი ჯარის-კაცებს, რ...
მელნიც მათივე სიტყვით „ცხრა მ...
იქით იბრძოდენ და ღვრიდენ სისხლ...
და რა გასაკვირია, თუ მშრომე...
ხალხი ამ არამკითხე მასწავლებლ...
ზიზღით გვერდს აუხვევს და თით...
გაიკვლევს გზას, თითონ გადასწყვ...
გარეშე თუ შინაურ მტერთან ბრ...
ლას და მორიგებას.

ბ გომართელი მეტათ გაბოღ...
ლია იმ ამბავით, რომ ქუთაისში ...
ტინგზე ლაპარაკის ნება მისცეს ჩვ...
ამხანაგს მობილიზაციის შესახებ „ქ...
ყნის მოღალატეს“ ალაპარაკებენ ...

# ლ ე ჩ ხ უ მ ლ ე ბ ს*).

მანდ, მთიდან მთებში ისმოდა,
სიმღერა, ხმა გმირულისა...
მთა ფიქრობდა და უკვირდა —
წინ სრბოლა განწირულისა,
მიკვირს: პირველად ვისმინე
ჩუხჩუხი ნაკადულისა!

* * *

ჯერ არ მინახავს გმირები
ამგვარათ დარაზმულები,
ერთ სულდგმულათ მებრძოლები
და ერთათ განწირულები;
შეიგნეთ — თქვენაც სხვებივით
ყოფილხართ დაჩაგრულები?!

* * *

ვიშ როგორ შვენის კრიახ მთას
ეგ მწვანე ფარჩა მოლისა?!
ზღვა ოკეანე ზავთდება,
ისმის სიმღერა ბრძოლისა...
მთიდან გადმოსკდა ნაკადი,
თავდავიწყებით ღიკლიკებს...
განცვიფრებული მივყვები
კრიახ მთის ვიწრო ბილიკებს...

* * *

მოგდივარო... სულის სწორებო,
სალამი მოგვაქვს მზიანი,
არ მოგვგონია დაღლილ სულს
სიმღერა კაეშნიანი;

* * *

თქვენ იცით, — თუ ხმას მომაწვდით
საგმირო ლექსთა წყობაში, —
რომ დაღლილ გრძნობებს წარუძღვებს
ლტოლვილს ფრთა მტერთან ბრძოლაში!

**ივ. ხონელი.**

*) ეს ლექსი იმ ამხანაგის დაწერილია, რომელმაც მთიარა ალყა შემორტყმული და კანონ გარეშე გამოცხადებული ლეჩხუმი.

---

უსმენენო, ეს რა სიტყვის თავისუფლებაა და პიროვნების ხელშეუხლებლობაო". შინაური მშვიდობიანობის მქადაგებელი ვერ შერიგებია ამას; თვითგასამართლება რომ მოეხდინა ხალხს იმ ჩვენ ამხანაგზე, ეს ალბათ, მაინც და მაინც, არ შეაძრწუნებდა მას. დავამშვიდოთ ბ. გომართელი და შევატყობინოთ, რომ სიტყვის თავისუფლება და პიროვნების ხელშეუხლებლობა კაიხანია სენატისებურათ განმარტებულია ჩვენში. განა, ღირსეულო, არ გსმენიათ თბილისში ჩვენი გაზეთების დახურვა? არ გაგიგონიათ 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში ზალპების გრიალი? და თუ, მაინც და მაინც, თქვენ მოსვენებას არ გაძლევს ქუთათური „მოღალატის" უდარდელათ ყოფნა, ნუ სწუხართ: ეს ჩვენი ამხანაგი ჩხარში დააპატიმრეს უბრალო ლექციის წაკითხვისათვის, ღ. ყვირილაში „გაასამართლა" ზესტაფონის ე. წ. რევოლიუციონურ დემოკრატიის სუდიებმა და სამუდამოთ გადაასახლეს შორაპნის მაზრიდან. თავისი რევოლიუციონური მოვალეობის ასრულებისათვის, სამეგრელოს მშრომელ ხალხთან დაახლოვებისათვის, ის სად. აბაშაში, ხელახლა დააპატიმრეს და გუშინ ქუთაისის ციხეში ჩასვეს. გიხაროდეთ!

---

## რა მოხთა ლეჩხუმში?

(პირადი დაკვირვებანი)

დღეს ყველა ლეჩხუმისაკენ იცქირება და დარწმუნებულია იმაში, რომ თითქოს ლეჩხუმში შავრაზმელებს მოეყაროს თავი, ხალხი აემხედრებოს „რევოლიუციონური მთავრობის" წინაამდეგ; და, ამ რიგათ მთელი ლეჩხუმის საზოგადოების გამოსვლა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლათ მონათლეს და, მასთან ქუთაისის მენშ. კომიტეტმა „ერთობის" საშვალებით უტიფრათ გადასძახა ამიერ-კავკასიის დემოკრატიას: ხალხო! აჯანყებულები დემოკრატიის მტერია' ის ხალხს, რევოლიუციას და თავისუფლებას ებრძვისო". მართალია მერე ყველა ეს? რა მოხთა ისეთი ლეჩხუმის მაზრაში, რომ ისინი კონტრ-რევოლიუციონერებად მონათლეს, ერთის მხრივ და, კანონის გარეშე გამოაცხადეს, მეორე მხრივ? მოხთა ის, რაც მოსალოდნელი იყო, რაც უნდა მომხდარიყო! ნერვებაშლილმა და გათამამებულმა მენშევიკურმა მთავრობამ ცაგერში შემოიღო ყველასათვის ერთდროული სავალდებულო გადასახადი, ბაჟი-სანოვაგეზე, და კიდევაც სისრულეში მოყავდა. რამდენი ფუთი სიმინდი გაიყიდებოდა ბაზარზე, იმდენი 10 პროცენტი უნდა ეხადა მყიდველს და, ასე, ამგვარათ, მყიდველი ორნაირათ იყვლიფებოდა, ერთის მხრივ გამომყიდველიდან, ხოლო მეორე მხრივ კი ზურგს უკან მას „რევოლიუციონური მთავრობა" ყვლეფდა. ფუთი სიმინდი ბაზარზე ფასობდა 20 მ. მყიდველის წინ იდგა ორი გადამხდელი: ერთი — რომელიც მიყიდდა სიმინდს, მეორე — რომლისთვისაც მას უნდა მიეცა 2 მ. (ათი პროც. სახით), რათა ამ უკანასკნელს ნება დაერთო მყიდველისათვის სიმინდი ბაზრის გარეთ გაეტანა. აი ამან დაბადა ხალხის და მთავრობის შუა უკმაყოფილება და რამდენათ ხალხის და მთავრობის შუა უთანხმოება ფართო ხასიათს ღებულობდა, იმდენათ ხალხიც თანდათანობით ერკვეოდა, ირაზმებოდა და ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდენ ადგილობრივი მთავრობის გადაყენება მოეთხოვათ. და, ამ რიგათ, ხალხმა მივიდა იმ დასკვნამდი ბუნებრივათ, რომ თვით აეღო ძალა უფლება ხელში და შეექმნათ ნამდვილი ხალხური მთავრობა მუშათა და გლეხთა საბჭოების სახით. მაგრამ, სანამ ისინი მას ცხოვრებაში გაატარებდენ და იძულებულს გახდიდენ მთავრობას გადამდგარიყო, მანამ მაზრის თანაშემწემ, რაზმაძის მეთაურობით ცაგერის მილიციონერებმა და სხ. მათი კოლეგებმა დასტოვეს წინასწარ ღამით ლეჩხუმი და მიაშურეს ქუთაისს, რათა მშრომელი ხალხის წმინდა მუშური მოთხოვნილება ჩაექროთ, ჩაეხშოთ. ქ—ისის გუბ. კომისარმა არ დააყოვნა, მეორე დღესვე ლევან დადიშქელიანის, რაზმაძის, კუპრაშვილის და სხვების მეთაურობით გაგზავნა ცაგერში გვარდიელები და თან გააყოლა ჯავშნიანი ავტომობილი ტყვიის ფრქვევლებით შეიარაღებული. მაგრამ საბედნიეროთ თუ მათთა საუბედუროთ, არც ისე ადვილი შეიქნა ლეჩხუმში შესვლა; ჯარის-კაცებმა წინასწარ გადაჭრეს გზა; ოცი ოცდა-ხუთის ვერსტის მანძილზე გასჭიმეს ფრონტი, აყარეს ხიდი და დაიკავეს სიმაგრე. როდესაც გვარდიელები მიუახლოვდა ადგილს, სადაც ჯარის-კაცები ჩასაფრებულნი იყვნენ და ის იყო უნდა გადაევლოთ კრიახი, მთის ვიწრო ბილიკი, სადანაც უნდა გადასულიყვენ ცაგერში, ამ დროს მათ მოულოდნელათ ჩასაფრებულთა ხმა შემოესმათ: შესდექით! არ დაიძრათ, მოგვეცით მეთაურებიო". გვარდიელებმა უპასუხეს: ჩვენ წესრიგის დასაცავათ მოვედით, მშვიდობა დავამყაროთ და შემდეგ ისევ უკანვე გავბრუნდებითო. მაგრამ ლეჩხუმელებმა შეუბრუნეს სიტყვა: ჩვენ თვით დავიცავთ და გაუძღვებით ჩვენს თავს; ქუთაისის ჩინოვნიკობა, სოციალისტურ ქურქში გახვეული თავად აზნაურობა და მასთან ბურჟუაზია ჩვენ ვერ დაგვიცავს, ჩვენვე მოვეწყობით ისე, როგორც მას მდგომარეობა და რევოლიუცია გვიკარნახებსო!"

აი პირველი ამოძახილი და წმინდა რევოლიუციონური ნაბიჯი ლეჩხუმის მუშების და ჯარისკაცებისა, აი მათი საამდროვო ლოზუნგი. ამ მხრივ ლეჩხუმმა თავის თანამოძმე სოფლის მუშებს წინ გაუსწრო, არა თუ სოფლის მუშებს, თვით ქალაქის მუშებსაც და ქალაქსაც ტონს აძლევს. ის ბრძოლის ენტუზიაზმით შეპყრობილი თანდათანობით ვაჟკაცდება და მზათაა ცხოვრების დაუცხრომელ ტალღებს გადასძახოს: ჩვენ ვართ ნამდვილი რევოლიუციონერები, მდგომარეობით შეგნებული სოფლის მუშები, მუშური იდეიით ალტკინებული". აქედან მკითხველი აშკარათ დაინახავს იმას, თუ როგორი შავრაზმელები ყოფილან ლეჩხუმის მთებში დაბუდებულნი, და თავის სინდისის ქვეშ განსჯის ერთსაც და მეორესაც. მე თვით ამის დამწერმა თავად მოვიარე მთელი ზედა ლეჩხუმის სოფლები, ვიყავი ცაგერში და გავეცანი მთელ ლეჩხუმს საზოგადოებრივ მოძრაობას, კარგათ ჩავუკვირდი მათ მოქმედებას, და ყველა იქ ნახულის და გაგონილის შემდეგ, ვეკითხები ჩემს თავს: ნუ თუ ის მთავრობა, რომელმაც ლეჩხუმი კანონის გარეშე გამოაცხადა, ქუთაისს ფაქტიურათ მოსწყვიტა და ეხლა ლამობს ხონსაც მოსწყვიტოს, რომ, მით, შიმშილის გამხმარი ხელებით მოახრჩოს ეს წმინდა და მუშური მოძრაობა? — ნუ თუ ამის მომქმედი მთავრობა რევოლიუციონურია ანდა სოციალისტური?! თქვენ ვერ ნახავთ ლეჩხუმში ისეთ პირებს, ნამეტურ ახლა, ამ მოძრაობის დროს, რომ საზოგადოების გარედ იდგეს, მოძრაობას ზურგს აქცევდეს, ანდა შავრაზმულ გამოსვლებით შეწუხებული იყოს რომელიმე კუთხე საზოგადოებისა. აქ სასტიკი დისციპლინაა დაცული და ვაი მას, რომელიც გადაცდება მოძრაობის პირველ საფეხურს, დისციპლინას დაარღვევს. თავად-აზნაურობა არსად სჩანს, მას არავითარი დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობასთან არა აქვს. თუ როგორ განშორდა გვარდია ლეჩხუმს, რამდენი იარაღი დაატოვებინეს, ანდა როგორ იქნა ლევან დადეშქელიანი მოკლული — ამის შესახებ ამ მოკლე ხანში რედაქციას მივაწვდი ცნობას.

ი. ბ—ძ.

---

## ბათუმში მომხთარ ამბების გარშემო.

რევოლიუციონურ რუსეთზე საერთაშორისო ბურჟუაზიული რეაქციის თავდასხმა ბუნებრივათ რეაქციას იწვევს რა თქმა უნდა კავკასიაშიც მენშევიკების პარტიის მესვეურთ გულუბრყვილოთ გონიათ ვითომ კავკასიაში ბედნიერების სამეფოში ვცხოვრობდეთ და კავკასიის დემოკრატიამ უნდა შესძლოს დაქანცული რუსეთის დემოკრატიის ისევ ფეხზე დაყენებაო და სხვა ამბობს კა. წერეთელი. ნამდვილათ კი ეს წვრილი ბურჟუაზიული პარტია და არა სოციალისტური ამ რეაქციის უბეში ინახავს თავს და იქ კრეფს ამიერკავკასიის დემოკრატიას, რათა კონტრ რევოლიუციონურ ფისხვილ ბურჟუაზიასთან დამთობილების პოლიტიკა და ფართოთ შეგხებულ მასაში გატეხილი ნდობა შეინარჩუნოს ცეცხლითა და მახვილით. „მიზანი ამართლებს საშვალებასო". განთქუმაებლათ უდანაშაულო ადამიანთა დაჭერა-დატუსაღება, იდეურ მოწინააღმდეგეთა და მშვიდობიან მოქალაქეთა და ხვრეტა ტყვიის მფრქვევლებით და სახრჩობელა, აი რა დაისახა ამ პარტიამ და მისმა შემდგარმა მთავრობამ ბრძოლის საშვალებათ. მაგალითებისთვის შორს წასვლა არაა საჭირო. ერთ-ერთ ასეთ „საგმირო" საქმეთ უნდა ჩაეთვალოს ამ პარტიას და მის მთავრობას ბათომში მომხთარი ამბები ამ დღეებში. ყური დაუგდეთ როგორ ახასიათებს თავის მოკლე მოხსენებაში ბა-ნი ნოე ჟორდანია ბათომის ფლოტის პოზიციას ბათომის დაცვის საქმეში. „ბათომის ნავთსადგურში მეთოფე მატროსებმა შეადგინეს დამოუკიდებელი კომიტეტი, რომელიც არავითარ მთავრობას არ სცნობდა და თვით მატროსებიც ქალაქში უწესოებას ახდენდენ. პათ გადაჭრით უარი სთქვეს ქალაქის დაცვაში მონაწილეობის მიღებაზე და გემების ნოვოროსიისკისაკენ წაყვანა სცადესო"... როდესაც თავრობის მეთაური ასეთ გაუგებრობას აგრცელებს ხალხში რაღა უნდა ითქვას მის ბრმა მიმდევარ წვრილ ფეხა მწერლებზე მის პარტიაში როდესაც მის უფლებ სიტყვას ბაჯაღლო ოქროთ აცხადებენ და ამნაირათ ფართე საზოგადოება შეცდომაში შეყავთ? გაუგებარია რომელ დამოუკიდებელ კომიტეტზე მიუთითებს ჟორდანია როდესაც ასეთი ანარქისტული კომიტეტი ნამდვილათ არავის უხილავს ბათომის მატროსებში რომ არც

ერთ მთავრობას არ ემორჩილებოდა. პირველ ყოვლისა ბათომში თვით ომის ხანაში არსებობდა სამხედრო საზღვაო კომიტეტი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სახალხო კომისარების თავრობას სცნობს. აგრეთვე არსებობდა უმაღლესი ორგანიზაცია „ЦЕНТРО-ВОСТОТЪ" რომელიც თავის მოქმედებასავრცელებდა თვით აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროებზე რომელიც აგრეთვე საბჭოთა მთავრობას სცნობდა და თვით ფლოტიც მათ ემორჩილებოდა. საყურადღებოა თვით ფლოტის პოზიცია და არა ერთი თუ ორი პირთვნების მიმართულება ამ ბოლო დროს როდესაც ტრაპიზონიდან თვით ჯარები გამოვიდა და მატროსების დიდი ნაწილი გაანთავისუფლეს სამსახურიდან დარჩენილ მატროსებში უთანხმოებამ იჩინა თავი, თვით ფლოტი მეჯზე გაიყო სამხედრო და სავაჭროთ. რომ ეს უთანხმოება არ გამწვავებულიყო და ახალ შექმნილ მდგომარეობაში მათ თანასწორათ ემოქმედათ და სრულიათ გარკვეული ყოფილიყო ურთიერთ შორის დამოკიდებულება ორივე მხრიდან ერთერთ თავის წარმომადგენლების თათბირზე გადასწყვიტეს დაარსებიათ უმაღლესი ორგანო შერთწოდებული „МАРСКАЯ КОЛЕГІЯ" სადაც ამ კოლეგიაში მათ ორივე მხარეს უნდა ჰყოლოდათ თანასწორი წარმომადგენლობა, ეს დადგენილება მათ საბოლოოთ გადასწყვეტათ გადაიტანეს მეორე დღეს საერთო ყრილობაზე, სადაც უნდა არჩეულიყო მომხმარებელი ორი ერთი მხრიდან ორი მეორიდან და სამიც სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. როდესაც არჩევნეზე მიდგა საქმე მოულოდნელათ სავაჭრო ფლოტის ნაწილი არ სცნობს უფლებას ამ კოლეგიაში სამხედრო ნაწილისას რომ თავის წარმომადგენლები იყოლიონ, ეს მხოლოთ ჩვენი საქმეა და არა თქვენიო. ასეთმა მოულოდნელმა დებატმა სამხ ფლ. მატროსები ძალზე გააბრაზა და დემონსტრატიულათ ყრილობა დასტოვეს.

(დასასრული იქნება).

## ბათუმის ამბები.

ბათუმში მთელი ძალა-უფლება ციხის უფროსის ხელში გადავიდა, ჯარის კომიტეტებს მხოლოდ შინაური ნივთიერი საქმეების გაძღოლა-გადაწყვეტა შეუძლიათ. შემოიღეს სასტიკი დისციპლინა.

— სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა ცნობილ გენ. ლიახოვს ჩაბარდება.

— კავკასიის ჯარის მთავარსარდალ ლებედინსკიმ, რომელიც ცენტრის წინ ალმდეგ დანიშნულ იქნა ამ თანამდებობაზე ნაციონალური საბჭოების სამხედრო შტაბის განკარგულებით, ასეთი ბრძანება გამოუშვა 4 მარტს:

„მე დიდათ კმაყოფილი ვარ პოდპოლკ. ეფრემოვის მიერ შედგენილ რაზმის ოფიცრების მოქმედებით. ეს რაზმი შედგენილია ეფრემოვისგან ტფილისში, განსაკუთრებით შესდგება ოფიცრებისაგან. ტფილისიდგან რაზმი გაეგზავნა ფრონტზე სარაყამიშში ამგვარი რაზმი პოდპოლკ. კლდიაშვილისა იმყოფება ბათომში, რომელიც ცუდ პირობებში ასრულებს თავის სამსახურს. მხურვალე მადლობას ვწირავ სახელოვან ოფიცრებს; მიუხედავათ ყველა დამცირების და შეურაცხყოფის, რომლის გადატანა მოუხდათ მათ უკანასკნელ ხანებში, როდესაც განიცადიდნენ მძიმე წუთებს და ხედავდნენ მომავალ უბედურებას, მათ შესძლეს თავის ინტერესების დავიწყება საზოგადო ინტერესებისთვის, ისევ მიუბრუნდნენ თავის სამშობლოს დაცვას. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ სამშობლო დააფასებს თავის ერთგულ შვილების თავგანწირულებას და ღირსეულ მადლობასაც უძღვნის მათ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, პოდპოლკოვნიკ ეფრემოვის და კლდიაშვილის რაზმების ოფიცრებო".

## ქრონიკა.

✦ ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია. თფილისში ხმები გავრცელდა, რომ საზავო მოლაპარაკების გაგრძელებისას გამოირკვა, რომ ოსმალთა დელეგაციამ ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებას მისაღებად და ამიერ-კავკასიისათვის სავალდებულოდ სთვლის.

✦ აბაშაში დაკავებული ჩვენი ამხ. ბუდუ მდივანი პარასკევს ქუთაისში ჩამოიყვანეს და გუბ. კომისარის განკარგულებით ციხეში ჩასვეს სამი თვის ვადით.

✦ მილიციის გაფიცვა. ლანჩხუთის რაიონის მილიციონერები უკვე გაფიცულან, რადგანაც აგერ სამი თვე არის რაც ჯამაგირი არ მიუღიათ.

✦ დავკარგე პორტმანეტი ფულით და ყოველივე დოკუმენტებით: 1) მოწმობა, როგორც მსახურობდი ფერშლად 157 სამხედრო სანიტარ. ტრანსპორტში პერსიაში 2) მოწმობა თავმჯდომარების ორგანიზაციული კომიტეტის 5 მაისიდან. 3) მოწმობა როგორც ყოფილი წევრი აღმასრულებელი კომიტეტი თფილისის გარნიზონის № 2747 და იარაღის ტარების მოწმობა სამხედრო უფროსის მწერალი ჩხეიძისა და „სპრავკა" მოცემული 5 თებერვალს ქ. ქუთაისის „ვოინსკი ნაჩალნიკის" გთხოვთ უმორჩილესად მნახველს ეს დოკუმენტები დამიბრუნოთ და ფული თქვენ სინდისზე იყოს დამოკიდებული. ვლადიმერ თურქია.

## რევოლიუციონური რუსეთი

პეტროგრადი

### ხმები პეტროგრადის აღების შესახებ ტყუილია

პეტროგრადის კომუნა.

პეტროგრადში მშრომელთა კომუნა შესდგა თავისი უზენაესი ორგანოთი. მთელ ველიკორუსეთში, დონსა და ჩრდილო კავკასიაში სახალხო კომისართა მთავრობაა აღიარებული: ინგუშებმა და თერგის ყაზახებმაც იცნეს მათი ძალა-უფლება. კორნილოვი ერთი მუჭა თანამოაზრეებით სადღაც, ტიხორეცკიასთან აწარმოებს ბრძოლას.

გერმანელების საომარი მოქმედება.

საომარი მოქმედება ველიკორუსეთში გერმანელებმა შეაჩერეს.

გერმანელები მხოლოდ უკრაინაში უწევენ დახმარებას ცენტრალურ რადას ბოლშევიკების წინააღმდეგ.

გაფიცვები ბუდაპეშტში.

ბუდაპეშტში დიდი გაფიცვებია სამხედრო ტყვეებში.

რადიო-ბიულეტენი ამიერ-კავკასიის რადიო-სპეციალისტებისა, 9 მარტი. ცარსკოე სელო, 8 მარტი, 13 საათი და 57 წ. ლონდონი, ნიუ-იორკი.

ხმები, თითქოს ადგილი ჰქონდეს ციმბირის რკ. გზის სამხედრო ტყვეთა ოკუპაციას, სიმართლეს მოკლებულია და ჩვენთვის, ადგილობრივ მცხოვრებთათვის, სასაცილოა. სამხედრო ტყვეებში სოციალისტური მიმართულებაა შემჩნეული ისინი საბჭოთა მთავრობას უჭერენ მხარს და სურვილი აქვთ სამშობლოში დაბრუნებისას, იქაც მოახდინონ, ჩვენი რევოლიუციის მსგავსად, აჯანყება. სამხედრო ტყვეები რკ. გზის გარშემო არიან შეკრებილნი, უიარაღოდ. პროტესტს ვაცხადებთ იმის გამო, რომ უცხოეთის წარმომადგენელნი ყალბ ცნობებსავრცელებენ. ამ ყალბ ცნობას შეუძლიან გაართულოს რუსეთის საქმეები, რომელიც ისეც საკმაოდ გართულებულია.

სამხედრო საქმეების სახალხო კომისარი.

— გაზ. პრავდა'ს 25 თებერ. გამოუქვეყნებია დოკუმენტები, რომ ლებიდან სჩანს ალექსინსკის და ბურცევის ყოვლად უსინდისო მოქმედება 3—5 ივლისის ამბების გამოძიების საქმეში.

— ქ. დვინსკიდან გამოქცეულებს უამბნიათ, რომ გერმანელებს ყველგან აღუდგენიათ ძველი წესები, გაუუქმებიათ რკინის გზის და სადგურის კოლეგიალური მმართველობა. ყველა ძველი, გადაყენებული უფროსები დაუბრუნებიათ თავ თავის თანამდებობაზე. ქალაქში ბევრი ესტონელი თავადაზნაურები ყოფილა, ადმინისტრატიული თანამდებობებს ასრულებენ ქუჩებში გერმანელი პოლიციელები მდგარან.

— ქ. კერჩის მუშათა და გლეხთა საბჭოს გაუგზავნია პეტროგრადისათვის 120 ათასი ფუთი პურის ფქვილი.

## სოფლად

### ბუდუ მდივანი სამეგრელოში.

სოფელი სუჯუნა, სადაც ბუდუს გაუჩია, 3-4 ვერსზე არის მოცილებული აბაშას. ადგილობრივ მცხოვრებლებმა მოიწვიეს საზოგადო ყრილობაზე დაადგინეს გადაყენებულ იყოს კომისარი რაც სისრულეში მოუყვანიათ. გადაუყენებიათ ძველი და მოუწვევიათ ახალი. ამ გარემოებით ნაწყენ ძველ კომისარს უცნობებია ვისაც ჯერ იყო გამოწვეულ იქნა სხვა ადგილებიდან წითელი გვარდიელები და თოფის მსროლელები, რომლებიც დაბინავდენ აბაშაში ბაღის წინ მეორე სართულიან შენობაში. აბაშაში გაჩნდა სეიმის წევრი ბ. ჟვანია და რადგანაც აბაშაში, მოსალოდნელი იყო საზოგადო ყრილობა რომელზედაც ბუდუ იყო მოწვეული სუჯუნის ნაკომისრალი მიგზავნილ ყოფილა მდივანთან წინადადებით, რომ ბუდუ არ გამოსულიყო სალაპარაკოდ წინააღმდეგ შემთხვევაში შეპყრობას დაპირებია (ამის მოწმეები არიან). ბუდუს მასთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ კი გაუხსენებია მუქარა არ გადაეთქვა.

გაიმართა მიტინგი ხალხი ითხოულობს ბუდუს. გამოჩნდა ტრიბუნაზე ბუდუც მოისმინა პირდაპირ მეორე სართულიან შენობიდან მიტინგზე მომართული ორი ახალი სისტემის ტყვიისმფრქვევები მოახლეებით, შენობის სახურავზე გვარდიელები თარაღით ხელში. ისმის გრიალა ხმა: დაიწყო სიტყვა. მას ვერ ამჩნევს, მხოლოდ ხედავს ტყვიის მფრქვევლებს მკვეთრად, ერთ მკაფიოდ და მედგრად განაგძობს სიტყვას.

ტყვიის მფრქველებს და ნაკომისრალს დაავიწყდათ თავიანთი თანამდებობა. სულგანაბულ უსმენენ ორატორს. დუმ სიტყვა გაათავა. ისმის მქუხარე ტაში ცემა და ძახილი: „ვაშა ბუდუ, ვაშა ბუდუო". მეორე დღეს ბუდუ საზოგადო ყრილობაზე იქნა მოწვეული. გვარდიელები დაიძრნენ სუჯუნისკენ დაბრუნდენ შუადღისას; ჩამოვიდა ბუდუ სამიქაოდან. ვახშმობის შემდეგ ბუდუ სადგურამდის მიაცილა მე და ამხანაგი. ბუდუმ გაიმარჯვა, გაიმარჯვა მისმა მკვეთრმა და სამართლიანმა სიტყვამ, დაიმორჩილა დროებით უხეში ძალა მას უსმენდა აღტაცებით ხალხი, გახარებული იყო ნაკომისრალი, და ტყვიისმფრქვევლებს ვერ ამოეღოთ ხმა. მაგრამ მაინც აუსრულებიათ მუქარა: ბუდუ ადრე დილით აბაშაში დაპატიმრეს, ქუთაისში ჩამოიყვანეს და ციხეში გაგზავნეს. „რევოლიუციონური წესრიგი" მოითხოვს ასეთ ზომებს.

მ. ფიქ[...]

—

დ. წალენჯიხა (ზუგდიდის მაზრა) 28 თებერვალი 1918 წ მეტად ღირსშესანიშნავი დღეა როგორც დასავლეთ წალენჯიხის რაიონისათვის, ისე მთელ ზუგდიდის მაზრისათვის, დღეს ჩაუყარა საძირკველი გამარჯვებას ბოლშევიზმისა წალენჯიხის რაიონის 15 საზოგადოების მცხოვრებმა მკვიდრებმა და ამით ჩასცა სამარე ღანძღვარი ბოლშევიზმს. 28 თებერვლისთვის იყო მოწვეული ადგილობრივი დელეგატების ინიციატორობით რაიონული ყრილობა ყოფილ ჯარისკაცების და გლეხების დელეგატებისა, (თითო საზოგადოებიდან ოთხი დელეგატი, სამი ყოფილი ჯარისკაცი და ერთი არა ჯარისკაცი). ყრილობას დაესწრო 15 საზოგადოების დელეგატები რიცხვით სამოცამდე მხოლოთ არა დელეგატები კი ორასზე მეტი იქნებოდა, რომლებიც ადრეულით მეყურებდენ დელეგატების სხდომას და მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. დღიურ წესრიგში იყო მხოლოდ ორი საკითხი: პირველი მიმდინარე და მეორე საბჭოების არჩევნები და ამას, კომიტეტის გაუქმება. თავმჯდომარედ იქნა არჩეული სიმონ ჟღენტი და მდივნათ ფორეთე ქვარაცხელია. ყრილობას დაესწრო მაზრის კომისარი დადიანი, მენშევიკებიდან ბადათურია გლეხთა საბჭოდან თოდრია, ფედერალისტებიდან საჯაია და ჩვენი ორგანიზაციიდან ამხ. ჟვანია. მოხსენება ზემოაღნიშნულ პირებმა გააკეთეს. სხდომამ თითქმის დღემდე გასტანა. შემდეგ მემარცხენე რეზოლუციები პირველად შემოიტანა ამხანაგ ჟვანიამ მემდეგ ბადათურიამ მესამედ საჯაიამ. ამხ. ჟვანიას რეზოლუცია ერთ ხმით იქნა მიღებული დანარჩენებს კი თვითონ ავტორებმა აწიეს თითი. საჯაიას ქედოვნე სხვა რაიონებიც და მაზრებიც მიბაძავდენ წალენჯიხის რაიონს. კმარა ძალა, გამოფხიზლდეს საჯაიას მშრომელი ამხანაგებო.

ზუგდიდელი ისაკო.

რედაქცია — სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი — დასავლეთ ამიერ-კავ. ორგანიზაციის კომიტეტი.

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა ი. დ. კოლაძისა — ქუთაისში.